სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/71

ქ. თბილისი

17 აპრილი 2025 წ.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით
და მისი ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2025 წლის 3 აპრილის საბჭოს სხდომის №6ოქმის და აკადემიური საბჭოს2025 წლის 17 აპრილის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას „სამკურნალო მცენარეების მოყვანის ტექნოლოგია“ შეეცვალოს დასახელება და გახდეს „სამკურნალო მცენარეები და მათი წარმოება";
2. პროგრამას დაემატოს ხელმძღვანელი და დამტკიცდეს მთავარი მეცნიერი თანამშრომელი თინათინ ეპიტაშვილი;
3. მოდიფიცირების სახით დამტკიცდეს წარმოდგენილი პროგრამა;
4. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2025 -2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**
აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**